სახალხო გაზეთი

№ 934 ხუთშაბათი, 4 ივლისი 1913 წ. № 934

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთის'' რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის უფრო მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ორშაბათს, 1 ივლისს, დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

ალექსი დიმიტრის ძე კულულაშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი: მეუღლე **პელაგია შვილებითურთ და დედა მელანია კულულაშვილები.**

გასვენება ხუთშაბათს, 4 ივლისს, საკუთარ სახლიდან. დილის 9 საათზე (ეტაფის ქ. № 24 მე-7 საპოლ. ნაწილი) დაკრძალვა მოხდება წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 405

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთის" საშუალებით ჩვენი დამწუხრებული გულით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმ პირს, რომელმაც 30 წარსულ ივნისს მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენი პირმშო შვილის, ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის, ძვირფასი **შალიკოს** დაკრძალვაში და შეძლებისამებრ აღმოგვიჩინა დახმარება როგორც ზნეობრივი, ისე მატერიალური. აგრეთვე გულითად მადლობას ვუძღვნით „სახალხო გაზეთის" რედაქციას სამგლოვიარო განცხადებების უფასოდ დაბეჭდვისათვის, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელს მ. დავით იაშვილს, და მთავარ-დიაკონსმ. ტიმოთე ბაკურაძეს, მიცვალებულის უსასყიდლოდ წესის აგებისა და გასვენებისათვის და ქართულ მგალობელთა გუნდს.

მწუხარებით ალსავე შალიკოს **მშობლები ალექსანდრა და ივანე (მიმინო) ხანდამაშვილები.**



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 4 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

საოცარი საღამო.

დღეს არის საბენეფისო წარმოდგენა ანუ საღამო **„სიცილისა და მხიარულების სამეფოში". ბენეფისი** ცნობილ მუსიკალურ ექსცენტრიკებისა **ძმ. ბროკარსების** ბევრი ახალი ნომერი იქნება შესრულებული! პირველად მობენეფისენი შეასრულებენ დღეს შემდეგ №№: 1. რომანსი „ჩემო მტრედო", მუსიკა შესრულებული იქნება კახური ღვინის ჩვეულებრივ ბოთლებზე. 2. არია, ოპერა „ქიდოვკა"-დან. 3. საფრანგეთის მარში თვით-მადუღზე და თვით მადუღის მილზე. 4. პირველზე შესრულდება „მასკოტა" ოპერა „წითელი მზე"-დან. შემსრულებელი ბენეფიციანტი **გ. ბროკარსი.** 5. დღეს **გ. ბროკარსი** აჩვენებს **არაჩვეულებრივ** ნომრებს დაწყებული ადამიდან და გათავებული ტფილისის ახალი ამბებით. 6. დღეს პირველად გამოვა ტფილისში გამოჩენილი თვალთ-მაქცი **ალაბეკერი.** 7. დღეს უკანასკნელად წამოვა გ. **ბროკარსი** საბურთალოდან ნავთლუღში. დღესვე მობენეფისეთა თხოვნით ყველა მსახიობი შეასრულებს საუკეთესო ნომრებს.

დასაწყ. სად. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**
388 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

წარმოდგენის შემდეგ გთხოვთ მობრძანდეთ „პარადიზ"-ის ბაღში.

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

„ქართლი"

გაზეთი დაიბეჭდება **ყოველ-დღე** კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. **ფასი გაზეთისა: 1** წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლ"-ში დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი" (მემუარები) **ოლღა ბატონიშვილისა,** (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა. რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **ქ. გორი, ი. ცინცაძეს.** 1377

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

დრამატიული თხზულებანი:

ამბვრელოს მთიერი ლევაზ	40 კ.
ფიქრები, დრ. 5 მოქმედ.	50 ,,
ქრისტინე, დრ. 5 მოქმ.	20 ,,
ღალატი, ნათარგმნი გ. ყიფშიძისა	50 ,,
,, ,, ნ. ავალიშვილისა	1—25 ,,
,, ,, კ. მესხისა	25 ,,
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქმედებად	30 ,,
წყურვილი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,
ჟან და მადლენა მირბო.	20 ,,
ექიმი აშირბაჯიანი, ტრ. რომ. ფ.	20 ,,
დასჯილნი, სამ მოქმ.	40 ,,
ცხოვრების ნაწყვეტი	15 ,,
ანანია, დრამ. 4 მოქმ.	25 ,,
ანტიგონე, სოფოკლესი	20 ,,
უმანკონი, დრ. 5 მოქმ. გ. ხერხეულიძისა	25 ,,
კუდიანი ვარსკვლავი, კომ. 1 მოქმ.	5 ,,
სოფლის გმირები, დრ. 4 მოქმ.	25 ,,
სამშობლოს ბურჯნი, 2 მოქმ.	10 ,,
მოულოდნელი შემთხვევა, ვოდ. 1 მოქ.	15 ,,
გამხმარი ფოთოლი, შიუკაშვილისა	20 ,,
მეორე კაენი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,

მიღებულია ახალი წიგნები:

გვირგვინი, კ. მიქელაძის სახსოვრად	1 მან.
მზის სიცილი, აბაშელის ლექსები.	50 ,,
საბავშვო თეატრი, ,,ჯეჯილის" გამოც.	10 ,,
კიკოლიკას ნაამბობი, აკაკი	20 ,,
ბერუა ქრისტესიაშვილი, ლომოურისა	10 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ექიმი ა. შ. მიქელაძე. 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცივდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

ალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს აბასთუმანში.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1035

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვ. ლ. გელოვანი** პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** გუშინ, 3 ივლისს, დილის 9 საათზე, საუწყებათაშორისო კომისიის მცირე კომისიამ მეფის მოადგილის საბჭოს წევრის გ. პ. გაკელისა, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ ბ. ნ. აფხაზისა, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისა, ნ. ფ. დეუნკოვსკისა, მოწვეულ ინჟინერ ჰიდრავლიკისა და სხვათა მონაწილეობით საბურთალოში დაწვრილებით დაათვალიერა ის მიწები, რომელსაც თავად-აზნაურობა პოლიტეხნიკუმსა სწირავს. კომისია მომავალ შაბათს ნავთლუღის მიწასაც დაათვალიერებს.

◆ **საქალაქო ქონებათა დაზღვევა** ქალაქის გამგეობა შეუდგა იმ საქალაქო ქონებათა სიის შედგენას, რომლის დაზღვევაც წელს არის განზრახული. გამგეობას აზრად აქ ს, დამზღვევ საზოგადოებათა შეჯიბრება მოახდინოს და იმ საზოგადოებაში დააზღვევოს ქონება, რომლის პირობანიც ქალაქისთვის ხელ-საყრელი იქნება. ქალაქი ყოველ წლივ აზღვევებს თავის ქონებას არა ნაკლებ ნახევარ მილიონის ღირებულებისას.

◆ **ხელ-საქმის კურსებზე,** რომელიც გაიხსნა 26 ივნისს, დედათა მესამე გიმნაზიის სადგომში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მასწავლებელ ქალთათვის, ამ ჟამად 75 კაცი გამოცხადდა. კურსები სულ თვე-ნახევარს გასტანს. კურსების გამგედ არის ნ. გ. სუნდუკიანცისა, ხოლო კურსების განყოფილებათა ხელმძღვანელებად: ხაზვისა—ე. ვ. პატკანიანცისა, საგნებო ხელსაქმისა—ქ-ნი პორალი და ქრა-კერვისა—ქ-ნი უმანეც-დმიტროვსკისა. კურსებთან მოწყობილია კარგა დიდი გამოფენა კავკასიის სამოსწავლო ოლქის პირველ-დაწყებითი სკოლებისა და საპროფესიო სასწავლებლების მოსწავლეთა ხელსაქმისა.

◆ **სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია,** როგორც გავიგეთ, რუსეთს გადაჰყავთ, ხოლო მის ადგილას ერევნის ეპისკოპოსი პიმენი ინიშნება.

◆ **უცხოელი სტუმრები.** მომავალ შემოდგომაზე კავკასიაში ჩამოვა გერმანელ სოფლის მეურნეთა ჯგუფი პროფესორ აუხაგენის მეთაურობით და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს დაათვალიერებენ. დაახლოვებითი მარშრუტი: შავის ზღვის ნაპირი, ბათომის ოლქი, ერევნისა, ბაქოსი და განჯის გუბერნიები და მუღანი.

◆ **ტფ გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად** ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი პოლიტოვი დაინიშნა.

◆ **სამოსწავლო ოლქში.** როგორც სახალხო განათლების სამინისტრო აცნობებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, წელს განზრახულია, დაარსდეს სამი ახალი თანამდებობა სახალხო სკოლების ინსპექტორისა: ტფილისისა, გორისა, დუშეთისა და ზანგეზურის მაზრებში. მზრუნველი კი თხოულობდა 11 ახალ თანამდებობის დაარსებასა.

◆ **ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს** დიდი ხნის შრომა საფუთო გადასახადის შესახებ დამთავრებულა და ამ დღეებში ორივე საკანონმდებლო დაწესებულებას სათათბიროსა და საბჭოს ერთხმად მიუღია კანონპროექტი, ამ კანონ. პრ. ძალით ჭიათურის მარგანეცზედ დაწესებული საფუთო გადასახადს უნდა მიემატოს 1914 წლ. 1 იანვრიდან კიდევ ნახევარი კაპეიკი (დღემდის იყო ¾ კაპ.) და თანაც ამავე კანონ პრ. ძალით მარგანეცის მრეწველთა კრებულს უფლება ეძლევა ეს გადასახადი აიყვანოს 2 კაპეიკამდის. ამრიგად მარგანეცის მრეწველთა საბჭოს კასსას თანხა გაიზრდება სხვა და სხვა კულტურულ და მრეწველობისთვის ძიუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს მაინც დარჩება ჩვენს ქვეყანას ამ მდიდარი წყაროებისაგან, რომელნიც რუსეთის ბიუროკრატიის პოლიტიკის წყალობით უცხოელთა ხელში დიდის სიჩქარით გადადის.

◆ **საბირჟო ცნობები.** 3 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 50 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ., აძლევენ—82 მ. 75 კ., და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მ. 50 კ., აძლევენ—79 მან., 50 კაპ.

◆ **კიდევ ფულის მითვისების გამო.** გუშინ ვწერდით, ქალაქის სავაჭრო პოლიციის აგენტმა ქალაქის სასარგებლოდ შეკრებილი ფული მიითვისაო. ფულის რაოდენობა სულ 2673 მან. შეადგენდა, რომელი ფულიც აგენტმა (მ—ვმა) ქალაქის კასაში სრულიად შეიტანა.

◆ **ხილის გახმობა მზეზე.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, გამოჰგზავნოს კავკასიაში დეპარტამენტის აგენტი კრიშტოფოვიჩი, რომელმაც უნდა ასწავლოს ხალხს ხილის გახმობა მზეზე. კრიშტოფოვიჩმა ამერიკაში შეისწავლა ხილის გახმობის საშუალებანი და მიმდინარე წელს თურქესტანის რამდენიმე ქალაქში ლექციები წაიკითხა ხსენებულ საკითხის შესახებ. ტფილისშიაც არის განზრახული ამ ლექციების წაკითხვა.

◆ **ხუდადოვის ქუჩის მცხოვრებლებმა** (ნაძალადევი) გუბერნატორს სთხოვეს, ძალა დაატანოს ქალაქს გამგეობას, რათა ხსენებულ ქუჩაზე წყალსადენი გაიყვანოს.

◆ **ქალაქის ახალი სასალახოს** შენობა 3—4 თვეში სრულიად დამთავრდება.

◆ **ხილეულის იარმუკა-გამოფენის** მომწყობ კომიტეტს 5 ივლისს კრება ექნება. გამოფენა გაიმართება მომავალ შემოდგომაზე.

◆ **ახალი ჟურნალი.** ნ. ა. სინტიშჩევმა გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე ჟურნალი სახელად „ვესტნიკ ჟელეზნიხ დოროგ" (რკინის გზათა უწყებანი).

◆ **კბილის ექიმთა შორის.** კბილის ექიმებმა ი. შ. ჭანტურიამ, ი. პ. ფედოტოვმა, მ. ა. ფოომ და გ. ა. კარაულიანცმა ტფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, ნება დართოს მათ, დაარსონ ტფილისში „კავკასიის კბილის ექიმთა შემნახველ-გამსესხებელი და საურთიერთო დამხმარე კასა".

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** სასტატისტიკო ბიუროს სწერენ: შუშის მაზრის სოფელ გუსულუში დიდძალი კალია გაჩენილა, რომელმაც ბამბა საშინლად გაანადგურა.

◆ **ტფ. საბოტანიკო ბაღი** დიდძალ ექსპონატს ჰგზავნის „რუსულ რივიერის" გამოფენაზე, რომელიც პეტერბურგში გაიმართება 19 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე.

◆ **სამეძაო სახლები.** ამ ჟამად ორთაჭალაში, ელიაროვის ქუჩაზე, 8 სამეძაო სახლი არსებობს, რომელიც გადატანილ იქმნა ავჭალის ქუჩიდან მცხოვრებთა საჩივრის გამო. ამ დღეებში ქალაქისმეხუთე და მეექვსე საარჩევნო უბნების ხმოსნები და ამომრჩევლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა სამეძაო სახლები, როგორც ხალხის გამრყვნელი სიზოგადოებანი, სრულიად დაჰკეტოს. გუშინ ქალაქის გამგეობა ტომსკის ქალაქის თვითმმართველობას შეეკითხა, რა მასალებით ხელმძღვანელობდით, როდესაც ტომსკში სამეძაო სახლები დახურეთო.

◆ **ახალი ქუჩა** ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხ: აღადგინოს ალავერდის (დოლაბაურის) ძველი გზა, რომელიც მოკლე მანძილით აერთებს ნავთლუღს მნაცაკანიანთ ხიდთან.

◆ **სიცხემ** ტფილისში შესამჩნევად იკლო უკანასკნელ სამის დღის განმავლობაში.

◆ **შინა მრეწველობის ნაწარმოებთა მუზეუმი.** მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის მთავარმა სამმართველომ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტს 25,000 მან. მისცა შინამრეწველობის ნაწარმოებთა მუზეუმ-საწყობის მოსაწყობად. ფული კომიტეტს მიეცა სესხად. უნდა გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად 20 წლის განმავლობაში—წელიწადში 1,000 მან. 1914 წლიდან დაწყებული. ამ ფულიდან 5,000 მანეთით საადმინისტრაციო ხარჯი უნდა დაიფაროს, ხოლო 20,000 მანეთით შედგენილ უნდა იქნას მუზეუმის საწარმოო თანხა.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთი“-ს მე-30 ნომერი. შინაარსი: 1) მეთაური. 2) ბალახის თესვა აგრ. ა. მ. ვასილევსკისა. 3) ჩაის ბუჩქის გაშენება აგრ. ერ. ნაკაშიძისა. 4) მყნობის დრო მოახლოვდა ნ. კალანდაძისა. 5) რძე და მისი გამოყენება აგრ. რ. გ—შვილისა. 6) ფუტკარი და მეფუტკრეობა აპ. წულაძისა. 7) მესაქონლეობა რ. ვ—შვილისა. 8) ფრინველების მნიშვნელობა მეურნეობაში პ. ფედოროვისა. 9) საკოოპერაციო კურსები. 10) აბრეშუმის პარკის მოსავალი. 11) დედათა სამეურნეო სკოლა. 12) ქრონიკა. 13) გამოსადეგი ცნობა. 14) ახალი წიგნები. 15) მეტეოროლოგიური სადგური და სხვა.

რედაქციამ მიიღო აგრეთვე ჟურნალ „ოქროს ვერძი“-ს მე-5 ნომერი. შინაარსი: 1) გრ. რობაქიძისა: ფიორდების ასულს. 2) პ. იაშვილის: მეორეს. 3) გელა: ფრთათა რხევა. 4) პოემიდან: „ორი რაინდი“ კ. აბაშისპირელი. 5) დე-ლილ-ადანი: და ნატალია. 6) შალვა დადიანი: ტყვე. 7) ჩვენი ხელოვნება და სხვ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ახალი საზოგადოება.** გ. ხატისოვისა, ო. ს. ბუკშტეინისა, თ-დ გ. მ. თუმანოვისა, ა. ა. ენფიანჯიანცისა და ა. ფ. რიბკოვის თაოსნობით ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება „ვესტნიკ ზნანია“, რომლის მიზანიც იქნება, ხელი შეუწყოს თავის წევრთა ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში. ამ აზრით საზოგადოება მოაწყობს ლექციებს, სისტემატიურს საგანმანათლებლო და საპროფესიო კურსებს, ექსკურსიებს, სამეცნიერო საგანმანათლებლო მუზეუმებს, ლაბორატორიებს, ობსერვატორიებს და სხვას. საზოგადოების წესდება გუბერნატორს უკვე წარედგინა დასამტკიცებლად.

◆ **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს** 9 ივლისს კრება ექნება. განიხილავს კომიტეტთან საკომერციო განყოფილების დაარსების საკითხს, აგრეთვე შეადგენს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ **„წითელის ჯვრის“ საზოგადოების** კავკასიის საოლქო სამმართველოს კასაში მიმდინარე წლის 1 თებერვლისთვის ყოფილა 218,160 მან. 93 კ., 1 თებერვლიდან 1 ივნისამდე შემოსულა 2,565 მან. 37 კ., დახარჯულა 3,834 მან. 11 კ.; 1 ივნისისთვის კასაში დარჩენილა 216,892 მან. 19 კ.

ქართლი

◆ ცივმა ზამთარმა და ნაგვიანევმა გაზაფხულმა პურის მოსავალი ცოტა შეაჩერა. ბაღები ძალიან გაფუჭდა. ხილის მოსავალი წელს ცუდია მოსალოდნელი, ხოლო პურისა—კარგი, თუ სეტყვა არ მოვიდა.

ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება

სამშაბათს, 2 ივლისს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება მოხდა. კრება გახსნა საღამოს 8 საათზე თავმჯდომარემ **ე. თაყაიშვილმა**, რომელმაც წაიკითხა მოხსენება: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“. იმდენად ვერ ვიცნობთ ჩვენ საქართველოს სხვადა სხვა კუთხეს, რომ ბ-ნ თაყაიშვილის მოხსენებამ სწორედ გაგვაკვირვა. ბორჩალოს მაზრაში აუარებელი ძვირფასი ნაშთი დარჩენილა ძველის საქართველოისა. ყოველ სოფელში, ყოველ ადგილას ტყეებშიაც კი, სადაც იქაური მწყემსებიც ძლივს იკვლევენ გზას, არის ძველებური ეკლესიები, ზოგი სადა, უჩუქურთმო, პატარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკლესია საჩქაროდ არის აშენებული, ბევრიც კი საუცხოვო წმინდა ბაზილიკის ტიპისა, მშვენიერი ჩუქურთმებიანი თლილი ქვისა და სხვა. ყოფილა ეკლესიები, რომლის კედელიც ერთ ვეებერთელა მთლიან ქვას შეადგენს ათჯერ უფრო დიდს, ვიდრე გელათის მონასტრის კედლის ორი ქვა, რომელსაც უდიდეს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. ეს ეკლესიები თანდათან ინგრევა, რადგან ადგილობრივი ქართველობა ცოტაა და სხვა ერები კი ბერძნები, თათრები და გერმანელები არ უვლიან, პირიქით ანგრევენ ამ ნაშთებს და მათი ქვებით შენობებს აშენებენ. ზოგს კი ეშინია: წარწერებიდან არ გაიგოს თუ ვის ეკუთვნოდა მამული და არ წაგვართვანო და ამიტომ ამ წარწერებს წალკატებით აფუჭებენ. მომხსენებლის სიტყვით, ყველაზე ცუდად ეპყრობიან ამ სიძველეთ გერმანელი კოლონისტები, გაცილებით უფრო პატივისცემით—თათრები და ბერძნები. ყველა ეს ნაშთები, როგორც წარწერებიდანა სჩანს, ეკუთვნის მე-11 საუკუნეს და ცოტაოდენ მე-12 საუკუნეს. მომხსენებელს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თრიალეთის მხარეს და ბორჩალოსაკენ მე-11 საუკუნე ხელოვნების მხრივ ოქროს ხანად შეიძლება ჩაითვალოს. შემდეგ გიორგი ბრწყინვალემდე კიდევ გაგრძელდა ეს ხანა, თუმცა კი დაქვეითებაც დაეტყო; შემდეგ საუკუნოებში კი სულ დაცემულა.

მოხსენება ძლიერ ვრცელი და დასაბუთებული იყო. მისი შინაარსისა და ცნობების მოკლე ანგარიშში სავსებით გადმოცემა შეუძლებელია, რადგან ყოველივე სიტყვა საბუთსა და ძვირფასს ცნობებს შეიცავს ქართველებისათვის, როგორც გავიგეთ, ბ. თაყაიშვილი ამ წიგნის ბეჭდვას უკვე შესდგომია და, იმედია, ძვირფას განძად შეემატება ჩვენს არქეოლოგიურ ნაშთების გამოკვლევის საგანძურს.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა მიმდინარე საკითხების განხილვას. უპირველეს ყოვლისა კრებას მოხსენდა საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1911 და 1912 წლისა. აგრეთვე სარევიზიო კომისიის აქტი. ანგარიშებიდანა სჩანს, რომ 1913 წელს პირველ იანვრისათვის საზოგადოებას ჰყოლია: 1 მზრუნველი, 2 საპატიო და 371 ნამდვილი წევრი. საზოგადოების საქმეებს განაგებდა საბჭო, რომელიც ჰმართავდა ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ კრებებს. ამ კრებებზე გარდა მორიგი საკითხების გადაწყვეტასა კითხულობდნენ მოხსენებებს. საზოგადოებისა და საბჭოს წევრებს მრავალჯერ უმოგზაურიათ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მიზნით, რის შედეგიც არის ძვირფასი ნივთები და ნაშთები, რომელიც საზოგადოების მუზეუმის კუთვნილებას შეადგენს.

საზოგადოების ქონებას შეადგენდა: მუზეუმი, წიგნთსაცავი და საწყობი. 1912 წლის ანგარიშში ასეთი ყოფილა: შემოსავალი 13,937 მან. და 70 კაპ., გასავალი 13,893 მ. 38 კაპ.; 1913 წელს 1 იანვრისათვის დარჩენილა 44 მან. და 32 კაპ.

სარევიზიო კომისიის აქტიდან სჩანს, რომ: საანგარიშო წიგნები წესიერად არის ნაწარმოები, თანხები სრულად დაცული, საარქეოლოგიო ნივთები და წიგნები წესიერად აღნუსხულ-დაცულნი, საზოგადოების გამოცემათა რაოდენობაც სრულიად დაცულია დავთარის თანახმად, იმ ცალების გამოკლებით, რომელნიც საზოგადოების საწყობის გამგეს ამა 1913 წლის 1 იანვრიდან გაუყიდნია ან წევრთათვის დაურიგებია. საზოგადო კრებამ ანგარიშები დაამტკიცა, დაამტკიცა აგრეთვე შემდეგი ხარჯთაღრიცხვაც 1913 წლისა. **შემოსავალი:** 1) დარჩენილი ნაღდი ფული—641 მან. 22 კაპ., თანხების სარგებელი—300 მან., დოლობერიძის თახხის სარგებელი 1912—13 წლ.—457 მან. შემოწირულება 500 მან., თავად-აზნაურობის შემწეობა 6800 მ., წიგნების მოგება—20 მან., საწევრო გადასახადი—600 მან. სულ 9,318 მ. 22 კაპ., გასავალი: საკანცელარიო ხარჯი—50 მან., საფოსტო—200 მ., საექსკურსიო—400 მან., ბიბლიოთეკა—800 მ., მუზეუმი—3,200 მ., ინვენტარი—500 მ., წიგნების ბეჭდვა—1,000 მ., ფრესკების გადმოღება—1800 მან., მდივნისა და საქმის მწარმოებლის ჯამაგირი 970 მ., მოსამსახურისა—300 მან., წვრილმანი და მოულოდნელი ხარჯი. 98 მან. 22 კ. სულ—9318 მ. 22 კაპ.

ცხარე კამათი გამოიწვია „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხმა.

ე. თაყაიშვილმა კრებას მოახსენა ამ საკითხის ისტორია. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას გადაეწყვიტნა შეერთება და საბჭოს მიმართა წინადადებით, მიიღეთო. მხოლოდ მათი წინადადებით შეერთებული მუზეუმის გამგედ უნდა იყოს ახალი ორგანო, რომელშიაც შევა სამი წევრი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სამიც წერა-კითხვის საზოგადოებისა. ეს წინადადება საბჭომ განიხილა და ვერ დაეთანხმა, ამიტომ შეიმუშავა თავისი წინადადებანი და წარმოუდგინა საზოგადო კრებას. საბჭოს წინადადებით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება **ჩაიბარებს** წერა-კითხვის საზოგადოების ნივთებს მოსავლელად და შესასწავლად. 2) ყველა ავეჯი და ნივთი აღნიშნული იქნება, როგორც საერთო კატალოგში ისე ცალკე დავთრებში. 3) სამუზეუმო თანხა ერთიანად გადაეცემა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. 4) მთელ ჩაბარებულ ნივთებს განაგებს საბჭო, რომლის კრებებსაც დაესწრება წერა-კითხვის საზოგადოების სამი წარმომადგენელი სრული უფლებით. ამათ უფლება აქვთ უთანხმოების დროს, საკითხი აღძრან წერა-კითხვის გამგეობაში და შეერთებული კრება ორივე გამგეობისა გადასწყვეტს საკითხს, რომელმაც უთანხმოება გამოიწვია.

ი. ბარათაშვილი. ამ ორ წინადადებაში განსხვავებას ვერა ჰხედავს.

ე. თაყაიშვილი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ იურიდიულად არ შეგვიძლიან ჩვენი საქმეების გადაწყვეტაში სხვანი შევიყვანოთ. სამი კაცი რომ შემოვიყვანოთ, მაშინ ყველა საქმე მათი მონაწილეობით უნდა გადავსწყვიტოთ. საბჭო ამბობს: ჩაგვაბარეთ, შეგინახავთ და როდესაც მოისურვებთ უკანვე ინებეთ-თქო.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. რცხილაძემ, ა. მდივანმა, გ. ბურჭულაძემ, კარბელაშვილმა, ბაქრაძემ და სხვ.

ექ. გაბაშვილი (რუსულად ლაპარაკობდა) იმ აზრისაა, რომ არამც თუ შეერთება, არამედ ეს ნივთები სრულიად უნდა გადაეცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

მ. მაჩაბელი. იმ აზრისაა, რომ მუზეუმი არც ერთი საზოგადოების კუთვნილებას არ უნდა შეადგენდეს, იგი უნდა იქნეს მთელი საქართველოსი. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული გამგეობა, რომელშიაც შევა ყველა ქართულ საზოგადოების წარმომადგენლები.

საზოგადო კრებამ კენჭის ყრით ხმის უმეტესობით უარჰყო წერა-კითხვის საზოგადოების წინადადება და მიიღო საბჭოს წინადადება.

შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა: გაიყიდოს ვაკის მამული 1 დესეტინა, არა ნაკლებ 12 მანეთისა თითო ოთხ-კუთხი საჟენი.

დასასრული საბჭომ კრებას წინადადება მისცა საპატიო წევრად აირჩიოს **ეპისკოპოსი კირიონი**. ამ წინადადებას კრება აღტაცებით მიეგება და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. შემდეგ ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ: გ. გაბაშვილი, ი. გაბაშვილი, ი. სიარიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, ლეონ მელიქსეტბეგოვი, ქ-ნი ეგაძისა, გ. ჩიგოგიძე, ი. ბარათაშვილი და ქ-ნი ბრეგვაძისა.

დასასრულ მოხდა საბჭოს წევრებისა, კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა: **ე თაყაიშვილი**, მის ამხანაგად—**დ. კარიჭაშვილი**, ხაზინადრად და მუზეუმის გამგედ **ა. სარაჯიშვილი**, მდივნად ს. გორგაძე. წევრებად: ა. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, შ. ქარუმიძე და ი. სონღულაშვილი. კანდიდატებად: კილოსანიძე, გ. ნათაძე და გ. იმნაიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: გრ. ყიფშიძე, კ. მაყაშვილი და ი. აფხაზი.

კრება დაიხურა ღამის 12 საათსა და 15 წუთზე.

ჭიათურის მუშათა გაფიცვა

ჭიათურის მარგანეცის მუშათა გაფიცვამ მეტად სასტიკი და ფიცხი ხასიათი მიიღო, თავისის შეუდრეკელობითა და ხანგრძლივობით. ამ გაფიცვას ღრმა ეკონომიური და სოციალური მიზეზები აქვს, რომლის გვერდის ახვევა შეუძლებელია.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა მეტად ძვირფასი და იშვიათია, სხვა სახელმწიფო ჭიათურის მარგანეცს მარგალიტივით მოუვლიდა. რუსეთის ბიუროკრატიის ბეცის პოლიტიკის წყალობით კი იგი ორიოდე გერმანელმა კაპიტალისტმა ჩაიგდო ხელში. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა განიცდის უკანასკნელ სტადიას ბრძოლისას, რომელიც შესაძლოა და მოსალოდნელიც დამთავრდეს წარმოების მთლად—ერთიანად გერმანელ ფირმათა ხელში გადასვლით.

ჭიათურის მრეწველებს არ შეეძლოთ გაეწიათ ბრძოლა სხვილის კაპიტალისათვის, არა თუ იმიტომ, რომ სხვილი კაპიტალი მეტად ძნელი მოსაგერებელი მტერია, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის ბიუროკრატიამ, რომლის განკარგულებაშიცაა მთელი ჩვენი ქვეყანა, ღვთის ანაბარად მიაგდო ეს მრეწველობა. საკუთარი კაპიტალი არა ჰქონია ადგილობრივ მწარმოებელს, სახელმწიფო კრედიტი კი დახშული ჰქონდა და მიუხედავად მრავალის თხოვნისა, ვედრებისა, და მტკიცებისა მრეწველთა წარმომადგენლის ორგანოისა, ბიუროკრატიამ ყური წაიყრუა. არა თუ მრეწველთა საზოგადო ორგანომ, მეფის მოადგილემაც ვერა მოახერხარა ამ საგანში. ბოლოს მეფის მოადგილის თხოვნით, რომელმაც მხარი დაუჭირა მრეწველთა საბჭოს მოთხოვნილებათ მრეწველობის გასაუმჯობესებლად, პეტერბურგში მოხდა 1910 წელს უწყებათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ მიუცილებელი საჭიროა სახელმწიფო ბანკმა დაუჭიროს ადგილობრივ მრეწველთ მხარი და კრედიტით ასარგებლოსო. მაგრამ ეს გადაწყვეტილებაც, როგორც ყოველი გადაწყვეტილება, სასარგებლო რომელიმე საზოგადო ცხოვრების დარგისათვის, დაიმარხა კანცელარიებში.

კრედიტს მოკლებული მრეწველები მთლად ერთიანად უცხოელ კაპიტალისტთა ყურმოჭრილი ყმა შეიქმნენ. იგინი აღებდნენ ფასს მარგანეცს, იგინი გადაუგდებდნენ თითო ლუკმას ნასუფრალიდან ადგილობრივ მწარმოებელთ. უცხოელი ვაჭრები სისტემატიურად ამცირებდნენ მარგანეცის ფასს საზღვარ-გარეთის ბირჟაზე, რადგან სრული დარწმუნებული იყვნენ რა ფასიც უნდა მიეცათ, ადგილობრივი მრეწველები დაკმაყოფილდებოდნენ.

ამნაირი ველური მოქცევა მადნებს ჰღუპავდა, სიმდიდრეს აქარწყლებდა. მწარმოებლები აფრიკანელ ნეგრთა როლს თამაშობდნენ მათ ხელში, ხოლო მუშები კი ნამდვილ „კატორღაში“ გაგზავნილებისას. ნამდვილი სურათი წარმოუდგება კაცს თვალ წინ ევროპიელების მიერ ველურებს ექსპლოატაციისა. მთელი მხარე კი ზარალის მეტს არას ხედავს ამგვარ წარმოებიდან.

როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა დეპუტატ მილიუკოვს უამბო ჭიათურის მრეწველობის ამბავი და რუსეთის ბიუროკრატიის უცნაური მოპყრობა ისეთის ძვირფასის მრეწველობისადმი, პასუხად ეს მიიღო: „დაგამშვიდებთ მხოლოდ იმით, რომ გარწმუნებთ, მთელი რუსეთის მრეწველობა მაგნაირსავე ბედს განიცდის და მაგნაირსავე პირობებშია, სულ უცხოელებს აქვს ნაჩუქარიო“.

ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი მრეწველი თავისს სიმდიდრეს ჩალის ფასად ჰყიდიდა უცხოელ მწარმოებელს, ხოლო უკიდურესობამდე მიყვანილი ელემენტი წარმოებისა, მუშა, გამოვიდა დღეს არა თუ თავის პირად ეკონომიურის ინტერე-

HOME-RULE

შარშან, 3 აპრილს, ინგლისის საზოგადოებათა პალატამ დიდის უმრავლესობით მიიღო ბილი ირლანდიის ჰომრულის (ავტონომიის) შესახებ. წელს კიდევ ამავე პალატაში განახლდა სჯა-ბაასი ამავე პროექტის თაობაზე, რამაც, როგორც ვიცით, უნიონისტები ძალზე აალელვა. ირლანდიის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ იგი ერთს განუწყვეტელ ტანჯვა-წამებისა და აკლება-აოხრების ძაფს წარმოადგენს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თავს ეხვია ამ ბედკრულ ქვეყანას. ამ წერილში მე მსურს გავაცნო მკითხველებს ინგლის-ირლანდიის ურთი-ერთობის ისტორია ირლანდიის დაპყრობიდან ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე. *)

ირლანდიის აღმოსავლეთი ნაწილი ჯერ კიდევ მე-XII საუკუნეში დაიპყრეს ინგლისელებმა და ამ დღიდან არ შეწყვეტილა ინგლისის ცდა, რათა თავისი მფლობელობა მთელს კუნძულზე გაევრცელებინა. ელისაბედის მეფობის დროს (1558—1603) უკვე მთელი კუნძული ინგლისელების ხელში იყო. ინგლისის მეფეები ირლანდიაში მრავლად ასახლებდნენ ინგლისელებს და ამასთანავე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მათსა და ირლანდიელთ შორის შური და მტრობა ჩამოეგდოთ. ედუარდ მე-III დროს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც ინგლისელებს სასტიკად აკრძალული ჰქონდათ ირლანდიელებთან რაიმე კავშირის დაჭერა, მათ ზნე-ჩვეულებაზე ცხოვრება, ირლანდიურ ტანისამოსის ტარება, ირლანდიურ ენაზე ლაპარაკი და სხვა.

ამისდა მიუხედავად, ირლანდიას მაინც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები, რაც საკუთარ დამოუკიდებელ პარლამენტის სახით გამოიხატებოდა. მაგრამ ინგლისელებს ესეც შეშურდათ და ჰენრიკო მე-VII დროს (1483—1509) გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ირლანდიის პარლამენტის ყოველივე გადაწყვეტილება მაშინ შევიდოდა ძალაში, როდესაც მას ინგლისის მთავრობა დაადასტურებდა. ამან, რასაკვირველია, დიდი მღელვარება გამოიწვია ირლანდიელებში. ამ დღიდან იგინი განუწყვეტლივ იბრძვიან და ყოველგვარად ცდილობენ მოიპოვონ დაკარგული პოლიტიკური თვითმართველობა ანუ „ჰომრული“.

ჰენრიკო მე-VII შემდეგ გამეფდა მისი შვილი ჰენრიკო მე-VIII (1509—1547), რომელიც მეტად ფიცხი და თვითნება ადამიანი იყო. როგორც ვიცით, ამ მეფის მეთაურობით ინგლისის ეკლესიის ცხოვრებაში რეფორმაცია მოხდა. ამ რეფორმაციამ ინგლისში ღრმად გაიდგა ფესვები, ხოლო ირლანდიაში კი ვერავითარი ნიადაგი ვერ ჰპოვა. ამან უფრო გააღრმავა მათ შორის მძულვარება, რამაც საბრალო ირლანდიელთა სასტიკი დევნა გამოიწვია. ირლანდიელებს საეკლესიო მამულები ჩამოართვეს და პროტესტანტთა სამღვდელოებას გადასცეს. კათოლიკე ირლანდიელები აღელდნენ მთავრობის ასეთი საქციელით და აჯანყება მოახდინეს. ეს აჯანყება ინგლისელებმა მალე ჩააქრეს და ამასთანავე აჯანყებულთა მამულებიც თვითონ მიისაკუთრეს. ამ დროს მრავალი ირლანდიელი დარჩა უმიწაწყლოდ.

ეროვნულმა დამცირებამ, მოქალაქობრივ უფლებების ჩამორთმევამ და მიწების კონფისკაციამ ირლანდიელებში ხელახალი აჯანყება გამოიწვია, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. ამ დროს ინგლისში დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა. მეფე კარლოს I-ს პარლამენტმა *) დიდი ბრძოლა გამოუცხადა და სძლია კიდეც. მეფე გაიქცა და ინგლისში რესპუბლიკა გამოაცხადეს. როგორც ვიცით, რესპუბლიკის ხანაში (მე-XVII საუკ. მეორე ნახევარში) ინგლისის ფაქტიური მმართველი იყო არა პარლამენტი, არამედ ცნობილი მხედართმთავარი კრომველი. ამიტომაც ეს ხანა სამხედრო დიქტატურის ხანად უნდა ჩაითვალოს. 1649 წ. კრომველი თავისი ჯარით შეიჭრა აჯანყებულ ირლანდიაში, აიღო რამდენიმე ქალაქი და ხალხს ჟლეტა დაუწყო. თავზარდაცემული ირლანდიელები ტბებსა და ტყეებში იმალებოდნენ. სულ ნახევარ მილიონზე მეტი ირლანდიელი ამოჟლიტეს, მრავალი ამერიკაში გადაასახლეს და ბევრიც მონებად აქციეს, რომლებსაც ამერიკაში ჰყიდდნენ. მათი მიწა-წყალი ინგლისელ კოლონისტებს და კრომველის ჯარისკაცებს დაურიგდათ. ძალაგაღვიძებულმა ინგლისის მთავრობამ ესეც არ აკმარა ამ მრავალწამებულ ხალხს. მან გადასწყვიტა ირლანდიელებისათვის მხოლოდ ერთი კონაუტის პროვინცია მიენიჭებინა საცხოვრებლად, ხოლო დანარჩენი სამი პროვინცია კი ინგლისელების ხელში გადავიდა. არც ერთ კათოლიკე ირლანდიელს, სიკვდილით სასჯელის შიშით, ნება არა ჰქონდა კონაუტის პროვინციიდან თავი გამოეყო. ეს კანონი თუმცა მალე გადავარდა, მაგრამ სამი პროვინციის მიწა-წყალი კი ირლანდიელებმა უკან ვეღარ დაიბრუნეს (ლეინსტერისა, მიუნსტერისა და ჰოლსტერისა).

„დიდი რევოლუციის“ დროს (1689 წ.), როდესაც ინგლისელებმა ტახტიდან ჩამოაგდეს კათოლიკე მეფე იაკობ მეორე და მის ადგილზე გაამეფეს მისი პროტესტანტი სიძე ვილჰელმ ორანელი, მრავალ-ტანჯულ ირლანდიას კიდევ ახალი ჭრილობანი დაედო. იაკობი ირლანდიაში გაიქცა. ირლამდიელებს ძლიერ უყვარდათ კათოლიკე მეფე და ამიტომაც მისი მხარე დაიჭირეს. ამან ხელ-ახალი ბრძოლა გამოიწვია. ირლანდიელები საშინლად დამარცხდნენ. განახლდა მათი საშინელი ხოცა-ჟლეტა და მიწების კონფისკაცია, რამაც საშინლად გასწყვიტა წელში ეს ბედკრული მხარე.

სისხლიდან დაცლილი ირლანდია გამარჯვებულთა ფეხ ქვეშ ეგდო და გულშემზარავად ჰკმინავდა. მას აღარავითარი ძალა აღარ შესწევდა ხელახალ აჯანყებისათვის. მიწების განუწყვეტელმა კონფისკაციამ ირლანდიელები დააუძლურა ეკონომიურის მხრით და ღრმა სოციალური კვალი გაავლო მათსა და ინგლისელებს შორის. მე-XVIII საუკ. დასაწყისში ირლანდიელებს თავიანთი მიწა-წყლის მხოლოდ ერთი მეთერთმეტედი-ღა ეკავათ, დანარჩენი კი ინგლისელ ლენდლორდების საკუთრებას შეადგენდა. ამრიგად ერთის მხრით სდგას ყოველგვარ უფლებას მოკლებული უმიწაწყლო ირლანდიელი გლეხი (ფერმერი), მეორეს მხრით მრავალი მიწის მესაკუთრე ინგლისელი ლენდლორდი. ამან, რასაკვირველია, უფრო გაამწვავა ინგლის-ირლანდიის სოციალურ—ეკონომიური ურთიერთობა, ეროვნულ და სარწმუნოებრივ მძულვარებას კლასობრივი ანტაგონიზმიც ზედ დაერთო. თუმცა ამავე მე-XVIII საუკუნეში კათოლიკებს სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება მიენიჭათ, მაგრამ მათი მიწა-წყლის კონფისკაცია კი სხვა და სხვა სახით მაინც არ შეწყვეტილა.

ირლანდიელებს აკრძალული ჰქონდათ უძრავ მამულის შეძენა. მათ არავითარ სახელმწიფო—საზოგადოებრივ სამსახურში არ იღებდნენ. მათს მრეწველობა-მეურნეობასაც სხვა და სხვა კანონმდებლობითის სახით ინგლისმა მოუსპო სიცოცხლის ყოველივე ნიშან-წყალი. 1703 წ. კანონის ძალით ირლანდიელ ფერმერს მიწის იჯარად მოსავლის ორი მესამედი უნდა ეძლია ლენდლორდისათვის, საიჯარო მიწის პირობაც 31 წ. არ უნდა ამატებოდა. ლენდლორდს შეეძლო უბრალო, უმნიშვნელო მიზეზით ფერმერისათვის მიწა ჩამოერთმია და სხვისთვის გადაეცა. ამრიგად, საწყალ ირლანდიელ გლეხკაცობას არავითარი საშუალება არა ჰქონდა თავისი მამული უკეთესად დაემუშავებინა, გაეუმჯობესებინა, რადგანაც არ იცოდა, ხვალ რა გუნებაზე იქნებოდა ლენდლორდი და ვინ იცის, ვის ხელში გადავიდოდა მისი წვა-დაგვით გაუმჯობესებული „მამული“.

ლენდლორდები თვითონ ლონდონში სცხოვრობდნენ და თავიანთ მიწებს იჯარით აძლევდნენ მსხვილ კაპიტალისტებს და ფირმებს. ესენი ლორდის მამულს რამდენიმე წვრილ ნაჭრებად ჰყოფდნენ და მოგებით აძლევდნენ ე. წ. მედელმანებს, რომლებიც უფრო წვრილ ნაჭრებად ჰყოფდნენ და ირლანდიელ გლეხებს (ფერმერებს) ურიგებდნენ იჯარით. ირლანდიელებს ვაჭრობა-მრეწველობის ყოველგვარი გზა შეკრული ჰქონდათ, მხოლოდ ერთად-ერთი მიწის მუშაობა-ღა დარჩენოდათ, რომ სიმშილით არ მომკვდარიყვნენ. მაგრამ მიწის მძიმე იჯარამ ეს მხარე მეტად გაადატაკა და მთელი ირლანდია დიდ გაჭირვებასა და სიმშილს განიცდიდა. როგორც ქვემოდ დავინახავთ, მრავალი ირლანდიელი გამოსალმა წუთი-სოფელს სიმშილის გამო.

ირლანდიას არ შესწევდა არც ძალა და აღარც ენერგია, რომ საყოველთაო აჯანყება მოეხდინა. მაგრამ ვარმითა და სიღარიბით დატანჯული ხალხი მაინც კიდევ ძალას იკრებდა ხოლმე და აქა-იქ პატარ-პატარა აჯანყებებს ახდენდა. მე-XVIII საუკუნეში მრავალი ფარული ორგანიზაცია გაჩნდა, რომელთა მიზანიც იყო სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ მებატონეებისა და მოხელეების სხვა და სხვა გვარ უსამართლო მოქმედებისათვის.

ამერიკის კოლონიების აჯანყების დროს (1776 წ.), როგორც ვიცით, ინგლისი დიდ განსაცდელში ჩავარდა; მთელი ცამეტი წლის განმავლობაში იგი ეომებოდა კოლონისტებს და ბოლოს იძულებული გახდა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა, რომლის ძალითაც ჩრდ. ამერ. ფედერატიულად შეერთებული შტატები დამოუკიდებელ რესპუბლიკად იქნა ცნობილი. აი სწორედ ამ ომიანობის დროს ირლანდიამ, როგორც იყო, მოიპოვა თავისი პარლამენტის დამოუკიდებლობა, ე. ი. მისი გადაწყვეტილებანი ინგლისის მთავრობის დასტურს აღარ თხოულობდა.

1789 წ. საფრანგეთის რევოლუციამ ირლანდიის ჩაგრული ხალხი მეტად ააფრთოვანა და იმედი გაუღვიძა. ყველა ერთხმად თხოულობდა პოლიტიკურ და სოციალურ თავისუფლებას, 1798 წ. საყოველთაო აჯანყებაც მოახდინეს, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ეს აჯანყება მალე ჩააქრო და მთელი ირლანდია სისხლის მორევში აატივტივა. ამის შემდეგ მან ირლანდიის პარლამენტის გაუქმებასაც მიჰყო ხელი. 26 მაისს 1800 წ. ირლანდიას ხელიდან

---

*) უმთავრესად ვსარგებლობ ვ. ხუგი-კოლომსკის შრომით.

*) პარლამენტი ინგლისში დაარსდა 1265 წ.

სის დამცველად, არამედ ქვეყნისა და წარმოების ინტერესის დამცველადაც, მან განაცხადა: კმარა, მეყოფა ამდენი მონად ყოფნა თქვენი, ბ.ბ. უცხოელო მწარმოებლებო; გთხოვთ ადამიანურად მოგვეპყროთ, იმდენად ადამიანურად მაინც, როგორც თქვენში იქცევით; მოგვეცით რიგიანი ბინები, გვამუშავეთ იმდენ ხანს, რაც ჩვენ ჯან-ღონეს თქვენს მსხვერპლად არ შეიწირავსო: ე. ი. ის დრო რაც მიიღებოდა მაღაროებში სამუშაოდ ყველა კულტურულ ქვეყანაშიო—და მოგვეცით იმდენი ხელ-ფასი, რომ შეგვეძლოს თავი გამოვიკვებოთო.

როგორც ვიცით მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თაოსნობით გაიმართა მოლაპარაკება მუშებისა, ადგილობრივ მწარმოებელთა და უცხოელ კაპიტალისტთა შორის. უნდა მართალი სთქვას კაცმა და სიამოვნებით აღნიშნოს, რომ მუშათა წარმომადგენელნი ბევრად უფრო მაღლა სჩანდნენ, როგორც თავის საქმის შეგნებით ისე საზოგადო მოსაზრებით და განვითარებით თვით უცხოელ ფირმების წარმომადგენლებთან შედარებითაც კი. უცხოელ ფირმათა წარმომადგენელნი ბავშვურ მოსაზრებას წარმოადგენდნენ ხოლმე, სად, ლოღიკურ და ნამდვილ რეალურ მოთხოვნილების წინააღმდეგ, რომელსაც იცავდნენ მუშათა წარმომადგენელნიო—ასე მითხრა ამ კრების ერთმა მონაწილემ. საბჭო სცდილობდა თურმე მოერიგებია უცხოელი კაპიტალისტები, ეგრედწოდებული, ექსპორტერები და მუშები რადგან ადგილობრივი მწარმოებლები მხარს უჭერდნენ მუშებს; ამას მოითხოვდა მათი ინტერესი, რასაკვირველია, ვინაიდან მარტო მუშათა გაფიცვის წყალობით შეუძლიანთ მათ ასწიონ საქონლის ფასი. მოსალოდნელი იყო, რომ ექსპორტერები დათმობის გზას დაადგებოდნენ, მაგრამ ეს არ ინებეს და მუშებიც თავის მოთხოვნილებათ მაგრად ადგანან და დღემდე გაფიცვა გრძელდება. გაფიცვა ყოვლად წესიერად და კანონიერად მიმდინარეობს, არავითარი აყალ-მაყალი, არავითარი ინცინდენტი, რომელიც არღვევდეს ერთი ბეწოთიც არის სრულს წესიერებას.

ზემოდაც მოვიხსენიეთ, რომ ჭიათურის მუშათა გაფიცვა ჩვენის ქვეყნის ინტერესებს იცავს ამ ჟამად: მუშათა ხელფასი რჩება ჩვენს ქვეყანაში, ხოლო მუშათა უზრუნველყოფა საზოგადოდ ქვეყნისთვის სასარგებლოა. გარდა ამისა მუშათა გაფიცვა აძლევს საშუალებას ადგილობრივ მწარმოებელს ფასი მოუმატოს მადანს და არ გაასაღოს იგი იმ ფასად, რომელიც უეჭველ ზარალს აყენებს მას და ქვეყნის სიმდიდრეს ტყვილად ჰყრის. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა რამდენ ხანს გასტანს ეს გაფიცვა, თუმცა კაპიტალისტებს ყოველივე ძალა ხელთ აქვთ, რომ ჩააქრონ მუშათა გაფიცვა. **იმ.—ამ.**

სრულიად რუსეთის კოოპერატორთა საერთო

კრების გამო კიევში.

სრულიად რუსეთის კოოპერატორთა საერთო კრება ნებადართულია! ერთი თვის შემდეგ, 1—7 აგვისტომდე, ქ. კიევში თავს მოიყრიან მთელი რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენლები! რისთვის, რა მიზნით?

„მჭიდრო კავშირის განმტკიცება თანამოძმე კოოპერატივებს შორის, გარეგნული გამოხატვა ან გამოაშკარავება იმ თანხმობისა, რომელიც საძირკველია ყოველი საკოოპერაციო წრისა, გამოცდილებათა გაზიარ-გამოზიარება, საკოოპერაციო აზროვნობისა და მოღვაწეობისგან წამოყენებულ საკითხების დაკანონება, სხვა და სხვა პრაქტიკულ საკითხის განხილვა და ახალი საკითხების აღძვრა, აი მიზანი კოოპერატორთა კრებისა“. 1)

ამ მიზნით 1-ლი კრება მოწვეულ იქნა ქ. მოსკოვში 1908 წ. ეს იყო პირველი დათვალიერება რუსეთის საკოოპერაციო ძალებისა. მან ბევრი რამ გააკეთა რუსეთის კოოპერაციისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომ ამ კრებამ ჩაუყარა საძირკველი პირველ საკოოპერაციო ბანკს რუსეთში (მოსკოვის სახალხო ბანკი). მრავალი სახელმძღვანელო პრინციპი და მასალა შესძინა მან რუსეთის კოოპერაციას. სახალხო საკოოპერაციო ბანკის აუცილებელ საჭიროებასთან ერთად მან აღიარა ისიც, რომ კავშირიც აუცილებელი საჭიროებაა კოოპერაციის განსავითარებლად და სწორედ აქ წაიტეხა მან კისერი. შეკავშირებაში „კრამოლა“ დაინახეს და კრება დახურეს ადმინისტრაციის განკარგულებით. კრება დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მან მაინც ბევრი გააკეთა კოოპერაციისათვის. მისი დიდი მნიშვნელობა ყველასათვის აშკარა გახდა და ამიტომაც იყო, რომ პირველი კრების შემდეგ რამდენიმეჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა მეორე კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ ამაოდ.

გასულ წელს ნება დართეს მხოლოდ წვრილი კრედიტისა და სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლების კრებას.

თვით ის გარემოება, რომ ამ კრებას **პირველი** ეწოდებოდა, ამტკიცებდა იმას, რომ მისსა და მოსკოვის კრების შორის ნაკლები კავშირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, თუმცა, მართალია, ამ კრებაზე მოკლებული იყვნენ პირდაპირ წარმომადგენლობას საწარმოო და მომხმარებელი კოოპერატივები, არტელები და სხვ., მაგრამ კრებაზე საკრედიტო და სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებად წამოყვეს თავი ჩამოშორებულ კოოპერატივების ცნობილმა მუშაკებმა, წარმოიდგინეთ, თვით „არტელის მამამ“ ლივიცკიმ და მომხმარებელი და სხვა კოოპერატივების ბელადებმა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და ამ გარემოებას ბრმებისთვისაც უნდა აეხილა თვალი და დაერწმუნებია ისინი, რომ სადაც შეგნებული ხასიათი აქვს მიღებული საკოოპერაციო მოძრაობას, იქ უკანასკნელის მხოლოდ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ საკრედიტო, მომხმარებელი, სამეურნეო და სხვა კოოპერატივები: მათი გათიშვა შეუძლებელია ხელოვნურად. შემადგენლობა პეტერბურგის კრებას საერთო ხასიათს აძლევდა, მაგრამ, რაკი ის ფორმალურად წვრილი კრედიტისა და სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენელთა კრება იყო, მის წესრიგში არ შედიოდა საკითხები მომხმარებელ და სხვა კოოპერატივებზე. ამიტომაც ის არ იყო მეორე სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება.

5 წლის შემდეგ ნება დართეს მეორე სიეზდის მოწვევისა. აღსრულდა პეტერბურგის კრებაზე თვით საკრედიტო და სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებისგან გამოთქმული სურვილი: ნიშნად კოოპერატორთა კრების დიდი მნიშვნელობისა მიღებულ იქნას ზომები, რათა მომავალ (1913) წელს შესდგეს სრულიად რუსეთის **საერთო** სიეზდი!

(დასასრული იქნება)

მუშათა ცხოვრება

◆ სახელმწიფო სათათბიროს წევრმა სკობელევმა, ბალტიის ქარხნის მუშების თხოვნით, მიმართა 25 ივნის საზღვაო მინისტრს და სთხოვდა, რომ პირადად მისთვის და მუშათა წარმომადგენელებისათვის დაენიშნა აუდიენცია. 27 ივნისს სკობელევმა მიიღო ცნობა მინისტრისაგან, რომ სკობელევს შეუძლიან ინახულოს მინისტრი 28 ივნისს, მხოლოდ მუშების წარმომადგენელებს მინისტრი ვერ ინახულებს. ამ ცნობის პასუხად სკობელევმა გაუგზავნა მინისტრს 28 ივლის დეპეშა, რომელშიაც სწერდა: „რადგანაც თქვენ უარი სთქვით მუშების მიღებაზე, ჩემი მოსვლა უმნიშვნელო ხდება. მუშების წარმომადგენელნი ჰფიქრობდნენ დამოუკიდებლივ პირადად თქვენთვის აეხსნათ გარემოებანი, რომელთაც გაფიცვა გამოიწვიეს“.

◆ 27 ივნისს, პეტერბურგში, ზიგელის ქარხნის ადმინისტრაციამ გამოიწვია პოლიციელთა რაზმი, რომელიც უთვალყურებდა ქარხნიდან საქონლის გადატანას. ეს გამოიწვია იმან, რომ 26 ივნისს მუშებმა აიძულეს კალატოზები და საქონლის შემტანელნი შეეწყვიტათ მუშაობა.

27 ივნისს გაიფიცნენ რუსის საზოგადოების ქარხანა „მუკეტიდაკ“ პეტერბურგში.

◆ გაფიცულ მუშათა საერთო კრების დადგენილებით დაიწყეს მუშაობა რ. კრუგის პეტერბურგის ქარხანაში.

◆ 27 ივნისს, პეტერბურგში, ლუკაშევიჩის სტამბაში დაიწყეს მუშაობა. მუშების მოთხოვნით დაითხოვეს მუშა სივოსინი, რომელიც გაფიცვის დროს მუშაობდა.

◆ 28 ივნისს დილით ბრანოვსკის მექანიკური ქარხნის 600 მუშა გაიფიცა. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

◆ მუშების გასაფიცად ძალდატანებისათვის პეტერბურგის ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა ო. ა. ვენდორფმა დაატუსაღა ერთი თვის ვადით ექვსი მუშა.

◆ რიგაში, რუსეთ-ბალტიის ვაგონთამშენებელი ქარხნის მუშები გაიფიცნენ. მუშებს გამოუცხადეს, თუ მუშაობას არ დაიწყებთ, ანგარიშს გაგისწორებთო.

მცირე შენიშვნა

(წერილი რედ. მიმართ).

სახალხო სახლთან არსებულ დრამატიული წრის საზოგადო კრებაზე აღიძრა საკითხი წარმოდგენების მხატვრულად დადგმის შესახებ. ამბობდნენ, პიესა შინაარსიანი უნდა იყოს, მხატვრულად დაიდგმება თუ არს, ამას არ უნდა გამოვეკიდოთ, რადგანაც მნიშვნელობა არა აქვსო. ჩვენთვის საჭირო არ არის მხატვარი-რეჟისორიო. ხომ იყო დრო, როდესაც ავჭალის აუდიტორიაში ვსდგამდით „ექიმს შტოკმანს“, „იმედის დაღუპვას“ ისე, რომ მხატვარი-რეჟისორი არა გვყოლია! მათის წარმოდგენით, მხატვრობა ეს არის: ავიღოთ უარყოფითი ტიპი. მას მხატვარი ჰმოსავს ლამაზად, რათა მაყურებელს თვალები აუბრჭყვიალოს და ამით სიმპატია აღუძრას ისეთი ტიპისადმი, რომელიც მხოლოდ გაკიცხვის ღირსია. მათის აზრით, პიესა, დადგმული ეფექტით და მხოლოდ ეფექტით ამასთანავე ერთად არის მხატვრულად დადგმული პიესაც.

ჩვენ ეს სრულიად შემცდარ აზრად მიგვაჩნია.

ზემოხსენებულ კრებაზე ერთმა ორატორმა მაგალითად ბისმარკის ქანდაკება მოიყვანა და სთქვა, ამ ქანდაკების წინ ვერავინ გაივლის ისე, რომ ყურადღება არ მიაქციოსო. ორატორი ერთმა დამსწრემ დააყენა და დაუყვირა, საცოდავია ის ხალხი, რომელიც ბისმარკის ქანდაკებას ყურადღებას მიაქცევსო. ცხადი გაუგებრობაა. მოქანდაკემ ქვას სული ჩაუდგა, გააცოცხლა. ერთი გაივლის და აღტაცებაში მოვა იმ ადამიანით, რომელიც გამოქანდაკებულია, მეორეზე, პირიქით, ცოცხალი სახე კანცლერისა ზიზღს გამოიწვევს, იმის და მიხედვით, თუ ვინ როგორ აფასებს ბისმარკის მოღვაწეობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქანდაკება მაინც ყურადღებას გამოიწვევს, რადგანაც იგი მხატვრულად არის გაკეთებული. ასეთია ყოველი ხელოვნური ნაწარმოები. რეჟისორის მხატვრობა გამოიხატება იმაში, რომ რაც შეიძლება მკაფიოდ და კარგად დაიხატოს ესა თუ ის ტიპი, გადმოგვეცეს შინაგანი სულიერი ცხოვრება მომქმედი პირისა. პიესა ისე უნდა იყოს დადგმული, რომ მაყურებელისთვის საეჭვო არაფერი დარჩეს. თეატრმა და რეჟისორის ხელმა უნდა ნათელჰყოს, მხატვრულის დადგმით, სურათი, რომელიც ბუნდოვანად აღბეჭდილა ჩემს წარმოდგენაში. თუ პიესა მხატვრულად არ დაიდგა, თუ სურათმა მხატვრული სახე არ მიიღო, ჩემი წარმოდგენა ამით კი არ მოიგებს, უფრო წააგებს. თეატრიც მაშინ ჩემთვის ყოველ-გვარ მნიშვნელობას დაჰკარგავს.

გვეუბნებიან, საქმე იდეაა, აზრი, მხატვრობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. უცნაურია და შემცდარი ასეთი დაპირისპირება. მხატვრობა იდეისაგან დამოკიდებული რამ არ არის. თუ იდეია არ არის, აღარც მხატვრობა იქნება, რადგანაც ხელოვნება საზოგადოდ არის იდეისა და გრძნობით გადმოცემა. ვინც იდეიასა და მხატვრობას ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნებად აღიარებს, იმას ხელოვნებისა არაფერი ჰსმენია.

ეს კარგად არა ჰქონიათ გათვალისწინებული იმათ, ვინც მოუფიქრებლად მიიტანეს იერიში სახალხო სახლის მოღვაწეებზე და აიძულეს რეჟისორი ალ. წუწუნავა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა. საქმე, რომელსაც დიდი შრომა და ენერგია მოჰხმარდა, საქმე, რომელიც ძლივს დადგა ფეხზე, იღუპება, შველა უნდა. მე ვერ ვუშველი, მაგრამ სულითა და გულით კი მსურს კვლავ აღორძინდეს იგი. მწამს, იგი არ მოკვდება. მწამს და ველი...

სცენის მოყვარე.

მოწერილი ამბები

სოფ. არგვეთი (ზემო-იმერეთი). ეს სოფელი მდებარეობს დაბა საჩხერიდგან 6—7 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით და ერთ მოზრდილ სოფლად ითვლება საჩხერის მხარეში. ამ ბოლო ხანებში აქაც გამოფხიზლდნენ და შეიგნეს სწავლის დიდი მნიშვნელობა. სოფელ არგვეთში მღვდლის ნესტორ დევიძის, მიხეილ და ლუარსაბ მაჭავარიანების მეთაურობით დაარსდა ორ კომპლექტიანი სამრევლო სკოლა, [illegible] სწავლის მსურველ ახალგაზრდობას ძლივს იტევს და რომელმაც სულ მოკლე ხანში მოიხვეჭა ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული. თითო კომპლექტიანი სამრევლო სკოლები დაარსეს სოფელ დურევსა და ცხამშიც.

ამავე სოფლის მცხოვრებლებმა განიძრახეს წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსებაც. 17 ივნისს არგვეთის სკოლაში მოიწვიეს კორბოულის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი, რომელმაც აუხსნა შეკრებილ საზოგადოებას წვრილი კრედიტის მნიშვნელობა, შეადგინა ამ საქმის შესაფერი ქაღალდები და გადასცა ადგილობრივ მღვ. ნ. დევიძეს წარსადგენად სადაც ჯერ არს. საზოგადოდ ჩვენს მხარეში ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა საკრედიტო, თუ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების დაარსება და სკოლების გახსნა, რაიც ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისა და კულტურულად წინსვლის ნიშანია.

აქაური.

უცხოეთი

პოლონელები და ლონდონის კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციამ ლონდონში მიიღო მოხსენება, შედგენილი პოლონეთის ავტონომიის მოსაპოვებლად შემდგარ კომიტეტისაგან. ეს კომიტეტი შესდგება რუსეთსა, ავსტრიასა და გერმანიაში არსებულ პოლონელ პარტიათა წარმომადგენლებისაგან. გალიციაში ახალ ორგანიზაციას მიემხრნენ პოლონელი პროგრესისტები ლისევიჩის და სლივინსკის წინამძღოლობით, პოლონელი სოციალისტები დაშინსკის მეთაურობით და პოლონელთა სახალხო პარტიის წარმომადგენელნი სტაპინსკის ხელმძღვანელობით. მოხსენება იწყება იმ მოძრაობის აღნიშვნით, რომელიც რუსეთის პოლონეთში დაიწყო. „თქვენი ცდა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის—სწერენ პოლონელები—გვაძლევს ჩვენ უფლებას მოგმართოთ მოწოდებით, რომ მიაპყროთ ყური ჩვენი ერის მდგომარეობას და მისი ინტერესის გულისათვის იმდენად მაინც ჩაერივნეთ საქმეში, რამდენათაც თქვენ ეს გსურთ ალბანეთის ინტერესების დასაცავად. თუ კი პატარა სახელმწიფოს, რომელიც იმდენი მცხოვრებლებისაგან შესდგება, რამდენიც პოლონეთის სატახტო ქალაქის მცხოვრებთა მეოთხედია, შეეძლო ასე ხანგრძლივი საფრთხე გამოეწვია ევროპის მშვიდობიანობისათვის, მით უმეტეს უფრო დიდი საფრთხე მთელის ევროპას თუ ჩვენი

---

1) „Вѣсти· кооп“ წიგ. III 1912, მერკულოვის წერილი კრების შესახებ.

გამოეცალა თავისი საყვარელი პარლამენტი მაგრამ ცხოვრება მაინც არ დაემორჩილა მთავრობის უსამართლობას. ვერც იარაღმა, ვერც უფლებების შეზღუდვამ, ვერც მიწა-წყლის ჩამორთმევამ და ვერც რა სხვა ზომებმა ვერ შესძლეს სამშობლოსადმი სიყვარულის იმ ბრწყინვალე ნაპერწკლის ჩაქრობა, რომელიც ირლანდიის ხალხს საუკუნეთა განმავლობაში გულსა და სულში უღვიოდა. რამდენადაც ინგლისი ცდილობს ირლანდია ყოველმხრივ მეტროპოლიის შეუერთოს, იმდენად ირლანდიელები ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევენ მათ და ყველანაირ საშუალებით იბრძვიან პოლიტიკურ თვითმართველობის მოპოებისათვის.

მე-XIX საუკ. დასაწყისში ირლანდიაში დიდი ოპოზიციონური მოძრაობა დაიწყო, რომელსაც კათოლიკე სამღვდელოება უდგა სათავეში. 1820 წ. მათ დაარსეს „კათოლიკეთა ასოციაცია“, სადაც სხვა და სხვა ოპოზიციონური ორგანიზაცია შედიოდა. ამ მოძრაობამ და აგრედვე ინგლისში ე. წ. „მესამე წოდების“ წარმოშობამ, მთავრობა იძულებულ ჰყო 1829 წ. გამოეცა კანონი, რომლის ძალითაც კათოლიკე ირლანდიელებს უფლება ეძლეოდათ სახელმწიფო სამსახურში შესულიყვნენ და აგრედვე თავიანთი დეპუტატები ჰყოლოდათ ლონდონის პარლამენტში. მაგრამ ამ კანონმა ირლანდიელებს დიდი ვერაფერი მისცა. ეკონომიურად გაღატაკებულ ხალხს, მაღალი ცენზის წყალობით, მაინც ვერ შეეძლო თავისი დეპუტატები ჰყოლოდა და, გარდა ამისა, ოხრებულ მხარეს არ ებადა რიგიანი სკოლები, რომ ღირსეული დეპუტატები და სახელმწიფო-საზოგადოებრივ სამსახურისათვის გამოსადეგი მოღვაწეები მოემზადებინა. ამ გარემოებამ ირლანდიელებს უფრო მეტად გაუღვივა სურვილი საკუთარი პარლამენტის დაარსებისა.

ამრიგად, ინგლის-ირლანდიელთა შორის მოისპო სარწმუნოებრივი უთანასწორობა, მაგრამ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა კი არ შეცვლილა. როგორც ზემოდ ვთქვით, მთელი ირლანდიის მიწა-წყალი ინგლისელ ლენდლორდების ხელში იყო. მთელი ეს მხარე სიმშილსა და უბედურებას განიცდიდა. ასეთმა მდგომარეობამ ირლანდიაში სხვადასხვა სენი დაჰბადა. 1817 წ. სიმშილით და გაჭირვებით 65 ათასი სული გამოესალმა წუთი-სოფელს და 1 ნახ. მილიონიც ციებ-ცხელებით დაავადმყოფდა. 1845 და 1846 წლების სიმშილმა კიდევ უფრო მრავალი ხალხი ამოწყვიტა. ამ დროს ბევრი ირლანდიელი ამერიკაში გადიხვეწა, სადაც თან გაიყოლია ინგლისისადმი მტრობა და სიძულვილი.

ამერიკაში გადახვეწილმა ირლანდიელებმა დაარსეს სეპარატისტული პარტია, რომლის მიზანიც იყო ირლანდია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გადაექციათ. ინგლისის მთავრობა არავითარ ცვლილებას არ ახდენდა, ხალხი დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, და ამიტომაც ასეთმა პროპაგანდამ გაპოხიერებული ნიადაგი ჰპოვა ირლანდიელებში. მათ გადასწყვიტეს ყოველივე კავშირი გაეწყვიტათ ინგლისთან, აჯანყდნენ კიდეც, მაგრამ ძლეულ იქნენ ხელახლად. ამის შემდეგაც მღელვარება მაინც არ შეწყდა. ბოლოს, ინგლისის მთავრობამ რომ ნახა ეს კუნძული სახელმწიფოს მოსვენებას არ აძლევსო, დათმობის გზას დაადგა. 1869 წ. კათოლიკე ეკლესია უფლებებით გათანასწორებულ იქნა პროტესტანტულ ეკლესიასთან. 1870 წელს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც, უკეთუ რომელიმე ლენდლორდი ფერმერს დაკავებულ ადგილიდან აჰყრიდა, მაშინ იგი მოვალე ხდებოდა დაეჯილდოვებინა ფერმერი და ყოველივე ზარალი აენაზღაურებინა. ასეთმა ზომებმა თუმცა შეასუსტა ხალხის უკმაყოფილება, მაგრამ სრულიად კი ვერ მოსპო, რადგანაც ფერმერი მაინც მოვალედ დარჩა, მოსავლის ორი მესამედი ეძლია ლენდლორდისათვის. ამის შემდეგ ირლანდიაში შესუსტდა სეპარატიული მოძრაობა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვით-მართველობის აზრი და მისწრაფება მთელ ხალხს მოედო, ყველას გონება დაიმორჩილა.

19 მაისს 1870 წ. ირლანდიის საზოგადოების 65 წარმომადგენელმა ქ. დუბლინში მიტინგი მოახდინეს, რომელზედაც ის რეზოლიუცია გამოიტანეს, რომ ირლანდიას, საზოგადო-სახელმწიფოებრივ ინტერესების გარდა, კიდევ აქვს თავისი საკუთარი, შინაური ინტერესები და ამ ინტერესების გასაძღოლად კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ადგილობრივის დამოუკიდებელი პარლამენტის დაარსება, რომელიც შინაური საქმეების სრული გამგე უნდა იყოს, ხოლო საზოგადო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა კი დიდი-ბრიტანიის პარლამენტის უფლებას უნდა შეადგენდეს. მალე ამის შემდეგ დაარსდა „ირლანდიის თვით-მართველობის ასოციაცია“, რომელსაც ამ მიტინგის რეზოლიუცია პროგრამის საფუძვლად დაედო. ეს პარლამენტალური მოძრაობა პირველად ქალაქის მცხოვრებლებში გავრცელდა, ხოლო როდესაც სათავეში ცნობილი პარნელი ჩაუდგა, მაშინ იგი გლეხკაცობასაც მოედო. პოლიტიკურ თვითმართველობას პარნელმა აგრარული რეფორმის იდეაც დაუმატა და ამრიგად ეს პარტია მაშინდელ „მიწა-წყლის ლიგას“ დაუახლოვა 1880 წ. ამ დაახლოვებამ დიდი ნაყოფი გამოიღო, იმიტომ რომ „მიწა-წყლის ლიგა“ მრავალ უკმაყოფილო ფერმერთა ორგანიზაციების კავშირს წარმოადგენდა. ამრიგად, ამ ორ პარტიის შეერთებამ უკლებლივ გამოჰხატა ირლანდიის ხალხის მისწრაფებათა პროგრამა—პოლიტიკური და სოციალური დამოუკიდებლობა. „მიწა-წყლის ლიგას“ მიზნად დასახული ჰქონდა ირლანდიის მიწა-წყალი ლენდ-ლორდებისათვის ჩამოერთმია და ფერმერების საკუთრებად ექცია. ამ ორ პარტიის შეერთებით პარნელმა დიდი სამსახური გაუწია სამშობლო მხარეს.

მაშინ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გლადსტონმა, რომელიც ინგლისის ლიბერალურ პარტიას სათავეში უდგა, ქვედა პალატაში ახალი ბილი გაატარა, რომლითაც მიწა-წყლიდან აყრილი ფერმერების ყოფა-მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ ეს პროექტი ლორდთა პალატამ უარჰყო. პარნელმა ურჩია გლეხკაცობას, რომ მიწა-წყლიდან არ აყრილიყვნენ და ლენდლორდების ბატონობის წინააღმდეგ არავითარი საშუალება არ დაეზოგათ. ბრძოლის საუკეთესო იარაღად მიიღეს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ იმ მოიჯარადრეზე ან ფერმერზე, რომელიც აყრილ ფერმერის მამულში იმუშავებდა. კარანტინის სისტემა პირველად ერთი მამულის მოურავზე იხმარეს, რომელსაც ბოიკოტი ერქვა. ამის შემდეგ ასეთ საშუალებას ბოიკოტი დაერქვა, რომელმაც ირლანდიაში მასიური ხასიათი მიიღო და საოცარის ენერგიით იქნა გაყვანილი.

ამ მოძრაობის ჩასაქრობად მთავრობამ მრავალგვარი რეპრესიული ზომები იხმარა. 1881 წ. ლიგა დახურეს, პარნელი და მისი ამხანაგები დააპატიმრეს, სატუსაღოები ფერმერებით გაივსო. ამ რეპრესიების დროს ლენდლორდთა თარეშობას საზღვარი არა ჰქონდა; მარტო ერთი 1881 წ. განმავლობაში 17000 ფერმერი მამულიდან აჰყარეს. ასეთმა სასტიკმა ზომებმა ირლანდიაში ფარული ორგანიზაციები დაჰბადა, რომლებმაც ტერორისტულ მოქმედებას მიჰყვეს ხელი. ირლანდიელი ტერორისტები ინგლისის მრავალ ქალაქებს მოედვნენ და მკვლელობასთან ერთად კიდევ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების აფეთქებას ახდენდნენ. ასეთ მოძრაობის ჩასაქრობად გლადსტონმა 1881 წ. ახალი პროექტი შეიმუშავა ირლანდიის ჰომრულის შესახებ და პარლამენტს წარუდგინა, მაგრამ დიდის უმრავლესობით იგი უარჰყვეს, რამაც ირლანდიელები უფრო სასტიკად აღელვა. ახალმა კანონმა, რომლის წყალობითაც მიწის საიჯარო ღალა შემცირებულ იქნა და აგრეთვე ფერმერებს მამულის შესყიდვის და სხვა უფლებები მიენიჭათ, მაინც ვერ დააკმაყოფილა ირლანდიის ხალხი; მრავალ ადგილას გაფიცვები და ბოიკოტი მაინც არ შემწყდარა. ბოლოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ირლანდიელთა დასამშვიდებლად საჭირო იყო რადიკალური რეფორმის მოხდენა—ლენდლორდებისგან მიწების გამოსყიდვა და გლეხებისათვის გადაცემა შეღავათიანი პირობებით. 1896 წ. ამ მიზნისათვის პარლამენტმა 33 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასდო (გირვანქა სტერლინგი ჩვენებურ თუმანს უდრის). ამ ფულით მხოლოდ 62000 ფერმერის მიწა გამოისყიდეს, ხოლო დანარჩენ გლეხობის მამულები კი ისევ ლენდლორდების საკუთრებად ითვლებოდა. ბევრი ლენდლორდი ჯიუტობას სწევდა და თავის მიწას არავითარ ფასად არ ჰყიდდა არც გლეხებზე და არც ხაზინაზე. ამიტომაც „ირლანდიის ლიგამ“ თავისი პროგრამის პირველსავე პუნქტში მოაქცია მიწების იძულებითი გამოსყიდვის საკითხი. 1903 წლის აგრარულ რეფორმაში ეს ზემოხსენებული მიზანი შესამჩნევად იქნა განხორციელებული და ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1896 წლიდან მიწათმფლობელობის საკითხი თან და თან სამართლიანობის სახეს ღებულობს ირლანდიაში.

დროთა განმავლობაში ინგლის-ირლანდიელთა შორის სარწმუნოებრივმა განსხვავებამ დაჰკარგა თავისი პირვანდელი სახე. ინგლისის ხალხში ლიბერალურმა მიმართულებამ ღრმად გაიდგა ფესვები და 1892 წ. არჩევნებში ბევრი ჰომრულიერი მოჰყვა. 1893 წ. გლადსტონმა ახალი პროექტი შეიტანა საზოგადოებათა (ქვედა) პალატაში ირლანდიის თვითმართველობის შესახებ, რომელიც დიდის უმრავლესობით მიიღეს, მაგრამ ლორდთა (ზედა) პალატამ იგი უარჰყო და ამიტომაც ეს პროექტი კანონად ვერ იქცა. ირლანდიის ხალხმა ამით ნათლად დაინახა, რომ ინგლისის ხალხის სიმპატია მათკენ იყო მიმართული და რომ მათი სამშობლოს ავტონომიის საკითხი ლორდთა უფლებების წყალობით შეფერხდა. ბოლო დროს ინგლისში გაძლიერდა დემოკრატიული ელემენტი, ლორდთა პალატის veto-მ დაჰკარგა თავისი წინანდელი მოკარნახე ძალა და, როგორც გაზეთებიდან ვიცით, დღეს-ხვალ დაკანონდება ის დიდებული აქტი, რომელმაც ირლანდიის პოლიტიკური თვითმართველობა უნდა მიანიჭოს. ამრიგად, ირლანდიის ხალხი არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდა, არ დაეცა სულით, და მრავალი საუკუნიან მედგარი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა კიდეც თავისი წმინდათაწმინდა.

ბაგრატ ბეთანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი მომავალშიაც იძულებული იქნა განიცადოს ადამიანის უფლებათა სისტემატიური დარღვევა“ შემდეგ მოყვანილია მთლიანად პოლონეთის ისტორია მესამე გაყოფის შემდეგ და აღნიშნულია, რომ ავსტრიამ და პრუსიამ ასე თუ ისე მისცეს— შეძლება პოლონელ ქვეშევრდომთ ესარგებლნათ კონსტიტუციის ნაყოფით; რუსის პოლონეთში კი ეს არ ყოფილა. პოლონეთის საკითხი საერთოდ ემუქრება ევროპის მშვიდობიანობას და ამის თავიდან აცილება მხოლოდ ვრცელი სარეფორმო გეგმის განხორციელებით შეიძლება. მოხსენებაში დაწვრილებით ჩამოთვლილია ის რეფორმები, რომლის განხორციელებაც საჭიროა პოლონელთა აზრით. ეს რეფორმები საერთოდ წარმოადგენენ პოლონეთის სრულ სახელმწიფოებრივ ავტონომიას და ლიტვის იმ ნაწილისას, რომლის პოლონეთის ავტონომიასთან შეერთებას სახელმწიფონი სამართლიანად იცნობენ.

რუსეთი

პეტერბურგის ქალაქის თავი.

ამდენი ხნის უთავობის შემდეგ პეტერბურგის ქალაქის თავად უმაღლესად დამტკიცებულია გოფმეისტერი გრაფი ი. ი. ტოლსტოი.

ურია მედალისტები.

მინისტრ კასოს განკარგულებით უნივერსიტეტებში ურიები, რომელთაც საშუალო სასწავლებლები ჯილდოთი აქვთ გათავებული, იმავე პირობებით მიიღებიან, რა პირობებითაც უჯილდოოთ კურს დამთავრებული ურიები ე. ი. კენჭის ყრით. ეს განკარგულება ურია ახალგაზრდებმა სენატში განასაჩივრეს, როგორც უკანონოება. სამინისტროს თავის სამართლებლად წარუდგენია მოსაზრება, რომ ეს განკარგულება შეეხება უწყების შინაურ საქმეებს, რომელთაც განაგებს მინისტრი თავისი შეხედულების მიხედვით. ეხლა ურია მშობლებს გადაუწყვეტნიათ მიჰმართონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს.

სალდათებისათვის პიესები.

ისტორიის გამაცნობელი საზოგადოება ჰმართავს კონკურსს სალდათთა თეატრში დასადგმელ პიესებისათვის სამხედრო ცხოვრებიდან ამოღებულს. საუკეთესო ნაწარმოებისათვის მიეცემათ ორი პრემია ერთი 150 მან. მეორე 100 მან. პიესების განმხილველ კომისიაში მონაწილეობას იღებს თავადი ა. ი. იუჟინ-სუმბათაშვილი.

ი. პ. ტაბურინი.

28 ივნისს გარდაიცვალა ჟურნალისტი ი. პ. ტაბურინი, რომელიც 30 წლის განმავლობაში ჟურნალისტობას ეწევოდა. განსვენებული ტომით სერბიელი იყო. ვენაში დაამთავრა საინჟინერო ინსტიტუტი. შემდეგ მონაწილეობა მიიღო ბოსნია-გერცოგოვინის აჯანყებაში, რისთვისაც ავსტრიის მთავრობამ სიკვდილის დასჯა მიუსაჯა, მაგრამ განსვენებულმა მოასწრო რუსეთში გამოქცევა, სადაც სიკვდილის დღემდე სცხოვრობდა. განსვენებული სამხედრო კორესპონდენტად იყო რუსეთ-იაპონიის ომში და ბალკანეთის ომში. უკანასკნელ დღეებში მომხდარმა ამბებმა ბალკანეთში ძალიან ცუდად იმოქმედა განსვენებულზე.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

2 ივლისი.

სოფია. ბელგრადის ცნობები, ვითომც ბულგარელები მხეცობას სჩადიან ტენდენციონურია ბულგარელებმა დასტოვეს კნიაჟევეცი და სულ არ გაუვლიათ იმ ადგილებში, სადაც მხეცობის ჩადენას სწამებენ. სერბიელები სურათს იღებენ მათგანვე დახოცილებისაგან და დარბეულებისაგან და ბულგარელების მოქმედებად ასაღებენ.

სალონიკი. დაბრუნდა ვენიზელოსი მთავარ სადგომიდან ჰაჯი-ბეილიკში და დღესვე იქონია თათბირი მეფის შტაბთან. განხილული იყო რუსეთის წინადადება შესახებ ზავისა, გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ, უცდიან ვენიზელოსისა და პაშიჩის შეხვედრას.

ათინა. გაცხარებული ომის შემდეგ ბერძნებმა დაიჭირეს დრამა. გაზეთ „ესტიას“ ცნობით მოკავშირენი არ დასთანხმდებიან ომის შეწყვეტას და მოითხოვენ ბულგარეთიდან ზავის წინასწარ პირობების ხელის მოწერას, რაც სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ ორი დღის შემდეგ.

სტამბოლი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ოსმალოს ცხენოსანმა ჯარმა უომრად დაიჭირა როდოსტო, ბულგარელებმა უკან დაიწიეს. ჰფიქრობენ რომ ოსმალები ღამით გადავლენ ენოს-მიდიას შორის მდებარე ადგილებს.

ბელგრადი. „სამოუპრავა“ ჰსწერს: უაზროა პრინციპის დაცვა, რომ ყოველმა სახელმწიფომ შეინარჩუნოს იარაღით დაჭერილი ადგილები. არავინ ევროპაში არ აღიარებს ამ შემცდარ და საშიშ პრინციპს. სერბიამ გამონაკლისის სახით დაიცვა ეს პრინციპი ოსმალეთთან ომის დროს, მაგრამ ამ თავზე-მოხვეულ ომში ბულგარეთთან სერბია ბალკანეთის თანაწონობის პრინციპს იცავს. ამ ომის და ახალი მსხვერპლის შემდეგ, სერბია იძულებულია შესცვალოს თავის ტერიტორიალური მოთხოვნილებანი და თავის სამზღვრები სხვანაირად უზრუნველ ჰყოს. თუმცა სერბიელთა ჯარი გამარჯვებულია, მაგრამ სერბია არ დაივიწყებს მისგან აღიარებულ პრინციპს—ბალკანეთის თანასწორობისას. ეს იქნება ახალი დამსახურება მისი დიპლომატიისა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ საიმედო წყაროებიდან, რომ რუმინიამ დობრუჯისა, ბალჩიკისა და ტურტუკაის დაჭერით ერთი სამობილიზაციო მიზანი განახორციელა—დაიჭირა ახალი სტრატეგიული ადგილები. ეხლა შეეცდება შეათანხმოს ბულგარეთი, სერბია და საბერძნეთი და ამით წინაალუდგეს ბალკანელთა სახელმწიფოების თანაწონობის დარღვევას. ამის განხორციელების შემდეგ რუმინია თავის მიზანს მიხწეულად ჩასთვლის. ბალკანელ სახელმწიფოთა შეთანხმების შემდეგ რუმინია შეეცდება, მოეწყოს ბალკანეთზე ისე საქმე, რომ არც ერთი სახელმწიფოთაგანი არ უპირატესობდეს ბალკანეთზე. აქიდანა სჩანს შეძლება, რომ რუმინია შეუერთდება ბალკანელთა სამეფოებს.

ბუქარესტი. ბულგარელთა საელჩო სოფიას წავიდა.

ბელგრადი. პრეს-ბიურო იტყობინება: ცნობა, რომ სერბიამ უარი განაცხადა სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვაზე სიმართლეს მოკლებულია. სერბია ელოდება ბულგარეთის წარმომადგენლებს, რომ შეუდგნენ წინასწარი ზავის მოლაპარაკებას. სამხედრო მოქმედებანი შესწყდება ამ შემთხვევაში. გუშინ მოხდა შეტაკება ზაჲჩარაში. იბრძოდნენ მოწინავე ჯარი. შეტაკება შესწყდა, როდესაც სერბიის ჯარმა ზარბაზნების სროლა ატეხა.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ბერძნები ირწმუნებიან, რომ კუკუშში იპოვეს ორი ბრძანება, რომლითაც ბულგარელები თავდასასხმელად ემზადებოდნენ. ყურადსაღებია რომ პირველი ბრძანება, თუ ასეთი არსებობს, გამოცემულია 1 ივლისს და ეხება 4 ივლისის მოქმედებას, ბერძნებმა კი სამი დღით ადრე დაიწყეს გენერალ სარაფოვის წინააღმდეგ მოქმედება. მეორე ბრძანება ვითომც გაცემულია გენერალ პეტროვისაგან, მაგრამ ასეთი გენერალი არ არსებობს.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: მეფე კონსტანტინეს ტელეგრამა შესახებ ბულგარელელების ვითომ ბოროტ მოქმედების შესახებ დაწერილია მუქარით, რაც არ შეეფერება დეპეშის ავტორის მაღალ მდგომარეობას და ჰმოწმობს ბერძნების გრძნობას ბულგარელებისადმი. ტელეგრამებში საგანგებოდ არის გამოშვებული რიცხვი ვითომცჩადენილ მხეცობისა და ამით საშუალებას გვიკარგავენ, გამოვიკვლიოთ სიმართლე. ნამდვილად კი 22 ივნისს, როდესაც დემირ-ჰისარას მცხოვრებნი შიშმა შეიპყრო, რამოდენიმე კაცი დაისაჯა. ბულგარელებმა აღადგინეს წესიერება და დანაშაულნი დასაჯეს 22 ივნისს, სუსტი რაზმი ბულგარელებისა, მოხელეების თანხლებით წავიდნენ დემირ-ჰისარიდან და გაანთავისუფლეს დაჭერილები ერთდროულად ქალაქის მახლობლად გამოჩნდნენ ბერძნების ბრბოები, რომელთანაც შეტაკება მოხდა. არავითარი ძალდატანება ბულგარელების მხრივ არ ყოფილა. მეფე კონსტანტინეს უსამართლო დეპეშას ალბად აზრადა აქვს შეცდომაში შეიყვანოს ევროპის საზოგადო აზრი შესახებ სალონიკში მომხდარ გამცემურად ჯარზე თავდასხმისა და ბერძნების ბოროტმოქმედებისა.

ბუქარესტი. გაზეთი „ადევერული“ ჰსწერს: ტყუილად ამტკიცებს ადგილობრივი ავსტრიული გაზეთი, რომ ავსტრიის საწინააღმდეგო მანიფესტაცია არ შეეფერება მცხოვრებლების გრძნობას. რუმინელნი ბედნიერნი არიან, რომ დამოუკიდებელ გზას დაადგენ, რადგანაც ავსტრიასთან მეგობრობამ არავის დააყარა ხეირი, რასაც ჰმოწმობენ სერბია და განსაკუთრებით ბულგარეთი.

ათინა. ადმირალმა კუნტურიოტისმა კავალა აიღო სამხედრო ეშმაკობით; ვითომც 5 გემს აღმოსავლეთ ნაპირზე ჰსცლიდა. შეშინებულმა ბულგარელებმა დასტოვეს 5 ათასი თოფი, 4 ზარბაზანი და გაიქცნენ, თან წაიყვანეს ეპისკოპოსი და 30 საბერძნეთის ნოტაბლი. ადმირალმა მეზღვაურნი გადმოსხა.

სოფია. დრამის ქალაქის თავის მოხსენებით ბერძნების ჯარი გადმოვიდა ელევთერში, დაიჭირა პრავიშტა. ბულგარელები და მაჰმადიანები დახოცეს. განგებით გადარჩენილნი 60 ოჯახი მაჰმადიანთა და 100 ბულგარელთა, წავიდნენ ანდრიანოპოლში და ფილიპოპოლში. 15.000 კაცზე მეტი გამოქცეული მოვიდა მთის ჯუმაიაში. 50.000 გამოქცეულნი გზაში არიან და გაჭირვებას განიცდიან. ბულგარეთის სამღვდელოებას სერბიელთა ეკლესიაში გადასვლა უსკიუბში განმარტებულია, როგორც ძალდატანება.

ლონდონი. პალატა კრების ბოლოს გრეიმ უპასუხა რადიკალ წევრებს, რომელთაც მოითხოვეს ბალკანეთის ახალ ომში ჩარევა: არც ერთი ნათლად გამომხატველი სამწუხარო მდგომარეობისა, რომელიც ახალმა ომმა შექმნა, არ შეიძლება გამტყუნდეს, იგი ლაპარაკობს ძლიერი ენით. არც კი შეიძლება გადიდება ომის სიმძიმისა. მაღალი სიტყვები თუ კი იქონიებენ გავლენას მზადა ვარ ყოველ დღე ვილაპარაკო ამ საკითხის შესახებ. მაგრამ ომის ხასიათი, სიმწვავე, რომლითაც იგი მოედო ბალკანეთს, აგრეთვე საშინელი გაბედულება, რომელიც მეომარ სახელმწიფოებმა გამოიჩინეს, ცხადათ ამტკიცებენ, რომ ომში უმონაწილო სახელმწიფოების სიტყვებს არ შეუძლიან შესცვალოს მდგომარეობა. გვეუბნებიან, რომ ჩვენ ძალა დავატანოთ ზავის ჩამოგდებისათვის? უნდა ვსთხოვოთ პალატას, თანხა გამოიღოს და გვირგვინის ჯარით მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ ბალკანეთში? პალატამ რომ გამოიღოს თანხა, რა ძალა უნდა ვიხმაროთ და რისი გაკეთება შეიძლება სერბია-ბულგარეთის ომში? გეოგრაფიული მდგომარეობა ამტკიცებს, რომ შეერთებულ ევროპას არ შეუძლიან ერთსახოვანად იმოქმედოს, არამედ უნდა ერთ რომელიმე სახელმწიფოს მიანდოს საქმე. შემდეგ გრეი ეხება დაწვრილებით ბალკანეთის და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებას. არწმუნებს პალატას, რომ ოსმალეთს მხოლოდ ენოს-მიდიამდე უნდა მოვიდეს და არა გადასცილდეს მას. მეორე დიდი საკითხი,—სთქვა გრეიმ—ის არის, რომ ევროპის სახელმწიფოთ უთანხმოება არ მოუვიდესთ ერთმანეთში, მაგრამ აქაც ოპტიმისტურად უყურებს მდგომარეობას და სხვათა შორის ამბობს: „ეხლანდელი ომი იმდენად შემაძრწუნებელია და საზიზღარია, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება: მისმა სიმძიფრემ უნდა დააჩქაროს მისი გათავება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

2 ივლისი.

უცხოეთი.

ვენა. „კორესპონდენც ბიურო“ იტყობინება: ავსტრიის საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი ფეტლიხერი, პოლას ნავთსადგურის სამხედრო შტაბის უფროსი, დაინიშნა ალბანეთის გამყოფ საერთაშორისო კომისიის წევრად. მაშასადამე, ის ხმები, ვითომც პოლკოვნიკი ფეტლიხერი ალბანეთის ჯარის მომწყობია, არ არის მართალი.

სტამბოლი. ოტომანის სააგენტო აცხადებს, რომ ხმები, რომელიც რომიდან ვრცელდება, ვითომც სახელმწიფონი ერთხმად წინააღმდეგნი არიან ოსმალეთის ჯარის ენოს-მიდიას შუა მდებარე ქვეყნებში მოძრაობისათ—სიმართლეს მოკლებულია.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ ოფიციალ სადიპლომატო წყაროებიდან, რომ ოსმალეთს არა ჰსურს ახალი ომი დაიწყოს. ცნობა, რომ ოსმალებს უნდათ ენოს-მიდიას მიდამოებს გადასცილდნენ არ მართლდება.

პარიზი. „შრომის საერთო ბირჟამ“ უარჰყო წინადადება საერთო გაფიცვის შესახებ ჯარის კაცთა ზედმეტი ხნით ჯარში გაჩერების საპროტესტოთ.

რუსეთი.

პეტერბურგი. განჯის მიწადმომწყობის სამართველოს უფროსი ჯუნკოვსკი ინიშნება საპეითალო სამართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ცნობათა მიმცემი ბიურო იუწყება, რომ ლენის ქარხნებში გაფიცვის მომწყობი კომიტეტის საქმე და საქმე ლენის მუშათა უკანონო კრების გამართვისა და ჯარზე, თავდასხმის შესახებ, ბრალმდებელისაგან გაგზავნილი იყო ირკუტსკის სამოსამართლო პალატაში მოსასპობლად. და პალატის დადგენილებით 11 მარტს საქმის წარმოება მოსპობილია.

კიევი. დიდი სარდაფის ქუჩაზე მუშაობის დროს იპოვეს ქვაბი, რომელსაც თავი თაფლის-სანთლით ჰქონდა დახურული. ქვაბში აღმოჩნდა 25 გირვანქა ძველი ვერცხლის ფული არაბული წარწერით და ორი სამაჯური ოქროსი, ორი გირვანქა იქნება წონით. ნაპოვნი დაახლოვებით მეათე საუკუნეს ეკუთვნის და რამოდენიმე ათი ათასს აფასებენ.

სიზრანი. ქალაქის შუაგულ ადგილას მიწის მუშაობის დროს მუშამ იპოვა დამარხული განძი — თიხის ქურქელი ოქროს და ვერცხლის ფულებით მეთვრამეტე საუკუნისა, ძალიან ძვირად ღირებული.

პეტერბურგი. დააკავეს „ტრუდოვოი გოლოს“-ის მეცხრამეტე ნომერი.

არხანგელსკი. იწვის ტყეები: პინეჟსკის მაზრაში 10.000 დესიატინა, ხოლმოგორისაში 1.000 დესიატინა, სადგურ ემცთან 1.500 დესიატინა.

მინსკი. დაიჭირეს კუზნეცოვი, რომელიც თავის თავს ელექტროტეხნიკოსს უწოდებდა და რომელსაც დიდი ხანია ეძებს მოსკოვისა და სარატოვის მაძებარი პოლიცია. ჰბრალდება ბევრი ბოროტ-მოქმედება.

კიშინევი. ოთხ მაზრაში ბესარაბიაში სეტყვამ გააფუჭა 10.0 7 დესიატინა ნათესი, ზარალი 234.469 მ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.
ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.
ბათომისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.
ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.
მცხეთაში: № 65, საგარაკო დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ საგ. ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.
ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.
ჯულფისკენ: საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.
ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.
ერევანისკენ: № 24;23, საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.
ტფილისში მოდის:
ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 12 წ.
ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევ. ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ა. ნ. ღიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

ქალაქის სავადმყოფოები
მთავარი—[illegible] ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები ძღვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის სავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველი თავ-თავის უბანში, თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულნი არიან იმ დღესვე ინახულონ ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-თხიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 ი. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 გ. ა. მირაქოვი (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 გ. თ. ნათიშვილი (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ— ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 გ. ა. გედალინი (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22, ტელეფ. 592).
3—4 მ. ი. შავერდოვი (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 ტ. მ. თათეოსიანი (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 შ. ა. მიქელაძე (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 ნ. დ. ხატისოვი (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 ა. ი. შჩერბინინისა (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მიხახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|.
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყების
1-ლი საპოლიტეხნიკო კურსები
პირველი ტეხნიკუმი
მიიღება თხოვნები შემოდგომის სემესტრისათვის. შესვლა შეიძლება: საარქიტექტურო, გზათა საინჟინრო, ელექტროტეხნიკო, სამექანიკო და სამიწათ-მოქმედო განყოფილებებზე. მიიღებენ ყველას, ვისაც დაბალი სასწავლებელი გაუთავებია, სქესის განურჩევლად. გასული წლის განმავლობაში მოწაფეთა რიცხვმა საკმაოდ იმატა, 1000-ზე კაცი სწავლობდა. საუკეთესო მასწავლებელნი. ვერცხლის დიდი მედალი, კურსების სამოსწავლო სახელმძღვანელოების კარგად მოწყობისათვის.
ყველა კურს-დამთავრებული, 400 კაცი, კარგად მოეწყო სხვა და სხვა დაწესებულებაში და კარგ ჯამაგირსაც იღებენ.
ყველა, ვინც სამიწათ-მზომელო განყოფილებას ათავებს, ინიშნება სამიწათ-მზომელო უწყებისაგან მიწის მზომელთა თანაშემწედ მიწის-მომწყობ კომისიებში. წლიწადში 600 მან. ენიშნება ჯამაგირად, გარდა სხვა შემოსავლისა. პროექტი იგზავნება 5 ორ-კაპეკიან მარკით. კურსებთან არსებობს შოფერთა სკოლა. (პროსპექტი უფასოდ.
С.-Петербургъ, Б. РУЖЕНАЯ, 6.
Метцль. 88470 352.
[illegible]

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების ხილეული, სამკურნალო და მინერალური
წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყლით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყლის ნაცვლად ხშირად დაბალ ღირსების წყალს აწვდიან პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსახურავს ზედ-წარწერით:
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.